№ 6 (1328) მარტი 1970

ნიანგი

გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კაპ.

— აგერ გაზეთში წერია, თითო მოსახლემ თითო ლორი უნდა გამოზარდოსო.
— შენ რა გიჭირს, ერთის მაგივრად, ორს ზრდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამოხდა კასპში

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ჩემი პოემის გმირები
გამყიდველები გახლდათ.
გიამბობთ, გადაირევით,
რას ჩადიოდნენ დახლთან.

მათ „რაიკოოპკავშირის“
დახლი ებარათ კასპში,
ჰყიდდნენ უზომო საქონელს
ზეიმითა და ტაშით...

თავს არ ზოგავდა
ვიტრინა
რომ ეხატა და ემკო, —
გამგე ამ მაღაზიისა —
წიწუაშვილი ელკო.

მას ჰყავდა შვილი ნოდარი,
მსგავსი —
ვაშლი რომ გაჭრა,
გვერდით მოისვა ჭაბუკი
დაბადებული ვაჭრად.

ჰყავდა მესამე ნოქარი,
ბზრიალა, როგორც ჭარა,
კეკლუცი მანდილოსანი —
ჯინჯიხაშვილი სარა.

მეოთხე: დუქნის მეხოტბე,
ცოცხალი რეკლამ-აბრა,
ტოლი არ ჰყავდა ვაჭრებში
იოსებაშვილ აბრამს.

დევიზად ჭქონდა ოთხეულს:
(ახლაც ჩურჩულებს ხალხი)
„დახლებთან როგორ დავდგებით,
ჩვენც თუ არ დაგვრჩა დახლი“.

II

ჩინურ ყალმით მოხატული,
თვალწარმტაცი,
დიდებული
მოიტანეს თერმოსები
ხუთ მანეთად ღირებული.

— ფასი ერთობ დაბალია,
ვერ მოგვიტანს ნეტარებას!
— გავაძვიროთ,
ხალხი უფრო
ძვირფასიანს ეტანება.

გააძვირეს.
დადგა რიგი.
არ აეჭვებს მუშტარს ფასი...
და მოგება დარჩათ სუფთა,
სუფთა, სუფთა რვა ათასი.

III

— ქვაბს თორმეტი აწერია,
თექვსმეტ მანეთს მართმევ, სარა?
— თუ არ გინდა, გაიარე,
მყიდველები ისეც კმარა!

— აბა, უთო!
(და ჰკოცნიან,
მისი ყადრი რომ იციან)
ჩქარა, თორემ გაიყიდა,
რვა ღირს,
ათად მომიცია! —

დაცქრიალებს დახლში სარა,
ჰყიდის ტაფას,
ჯამს და
ჩამჩას.
ბანკში ათი შეიტანეს,
ამდენივე თვითონ დარჩათ.

IV

„ეკა-5“ მანქანაა
განა სათამაშო? —
თორმეტ წუთში ქვეყნის სარეცხს
რეცხავს,
წურავს,
აშრობს! —

უკიჟინებს ხალხს აბრამი,
რეკლამა რომ ჰქვია,
მყის სარეცხი მანქანები
მანქანებით მიაქვთ.

ფასი?
მხოლოდ ოთხმოცია
სახელმწიფო ფასი,
აბრამი კი გაიძახის:
— ასი, ასი, ასი!

V

„ორსკი“ და „დნეპრი“ მიიღეს,
მაცივრებს გააქვთ კრიალი.
სარფიან მუშტარს დაეძებს
ნოდარი — ბიჭი ფხიანი.

— რა მოგცეთ?
— რაც ღირს, ბიძიკო,
როგორ შეგკადროთ ზედმეტი?!
ფულს უთვლის ულაპარაკოდ
მუშტარი — კაცი ჩერჩეტი.

მერე ნოდარი ხითხითებს:
— ბიჭი კი არა, კაცი ვარ,
ორას ორმოცდა ათიანს
სამასად ვყიდი მაცივარს!

VI

საძინებელი ოთახის
მოაგრიალეს ავეჯი.
შემოესიენ მუშტრები
მერე რა ხვეწნით,
რა ღრეჯით:



— ელკო, დღეს ჩემი რიგია!
— შენი კი არა, ჩემია! —
გამგეს არც მეტი ლაყბობა,
არც მუშტი-კრივი სჩვევია;



— რა გაყაყანებთ?
საქონელს
როდი ვყრი მუქთად, ნისიად,
რიგი კი არა,
ავეჯი,
ვინც ზედმეტს მომცემს, მისია!

იწყება აუქციონი:
— ექვსასი!
— აი, ბითური!
— შვიდასი! — ჰყვირის ელამი,
— რვაასი! — ხავის მწითური;
— ცხრაასი! — ბღავის ახმახი,
— ათასი!
— კარგი ტიპია! —
ელკო თანხმობას აცხადებს,
ავეჯი რჩება ლიპიანს.

VII

მათ ჰქონდათ წვრილმანიც
„ლევად“ წოდებული:
რკინა-კავეული,
ნაქსოვ-ძოწეული,
წებო,
საღებავი,
საპონი,



ალიფა....
ჰყიდდნენ და მუშტარი
მიაჩნდათ არიფად.
არშინი ათასებს
გულს შუბად აძგერეს,
ცხადად თუ მალულად
ძარცვავდნენ კასპელებს.

VIII

ვიცი, იკითხავთ გაოგნებულნი:
— რამდენი დარჩა
ოთხეულს ფული?
ხელთა მაქვს აქტის
ვეება ასლი —
მათ მიიტაცეს
ასი ათასი!

IX

ცუდის სმენა გვეყო,
ავის კითხვა კმარა, —
ბოლო რაა, ნეტავ?
— ნოდარი და ელკო,
აბრამი და სარა
გალიაში სხედან.

გაიოზ შავერზაშვილი



ნახ. მ. აბაშიძისა

— რას ეტყვით ჩვენს რადიომსმენელებს ყანაში გასვლის წინ?

— რადიომსმენელებს ვთხოვ, ჩვენს ბრიგადირს თუ მოჰკრან სადმე თვალი, შეახსენონ, რომ საგაზაფხულო სამუშაოები იწყება და ჩამოვიდეს.

სადაც არის ბედი შენი

თბილისელი მიხეილ ალექსანდრეს ძე ალთუნიანცი და გარდაბნელი ისმაილ აუიდარის ძე სადიკოვი დამეგობრდნენ. გადაწყვიტეს, დიდი რაოდენობით ეშოვნათ ფული, შემდეგ შუაზე გაეყოთ. დიდი ხნის ფიქრის მერე არჩევანი თბილისის ავტოკოლონა № 2652-ზე შეაჩერეს: ფულის დაგროვების ყველაზე საიმედო ადგილიაო. წინათ ხულიგნობისა და სახელმწიფო ქონების მტაცებლობისათვის გასამართლებული ორი რაინდი სიხარულით მიიღო ავტოკოლონის დირექციამ და ბრძანებაში ჩაწერა: **„მიღებულნი იქნენ მძღოლ ექსპედიტორებად“**. ალთუნიანცს ზილ-130 მარკის მანქანა მიჰგვარეს (სახელმწიფო ნომრები—60-13 გრს), ხოლო სადიკოვს იმავე ტიპის მანქანა (№93-02 გრგ). დაატარებდნენ ახალგაზრდები ახალ ტექნიკას, თვეში ერთხელ შეივლიდნენ კოლონის ტერიტორიაზე, მოიკითხავდნენ ნაცნობებს, ინახულებდნენ უფროსებს და კვლავ გასამდიდრებელი რეისი...

ისე აგისრულდეთ ყოველგვარი ნატვრა, როგორც მათ სურვილი აუსრულდათ. ხუმრობაა, დღე 500 მანეთიანი ჰქონდათ. ძმაბიჭებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა — ქალამნად. გადაავიწყდათ ორიოდე 3-3 წელი წინათ გატარებული პატიმრობა, ადოკატებთან გულისგამაწვრილებელი ჩურჩული. მათი მანქანები აღმოსავლეთ საქართველოს გზატკეცილებს ისე სერავდნენ, როგორც საოკეანო ხომალდები — ღია წყლებს.

1970 წლის 9 თებერვალს ძმაკაცებმა მეტეხის აგურის ქარხნის ეზოში შეაგელვეს მანქანები. ორივემ ურიგოდ დატვირთა 5 600 ცალი პირველი ხარისხის აგური და კლიენტის საძებნელად გავარდნენ. კაცს ბედი არ უნდა? ქარხნის ჭიშკართან ცხინვალის რაიონის სოფ. ზემო არცევში მცხოვრები ბორის ვლადიმერის ძე ვალიევი შემოხვდათ. კლიენტმა თუმნიანების კონას თავი გამოუჩინა და შარვლის ჯიბეში ისევ ჩუმად ჩააცურა. ალთუნიანცმა უცნობს კაბინის კარი გაუღო და გულთბილად მიესალმა. (მოდი და, ნუ გაიხსენებ ტიმონ ათენელის ბრძნულ მონოლოგს ყვითელი ოქროს სიძლიერეზე!).

ყოველ წუთს იზრდებოდა მანძილი თბილისის გორგასალის ქ. № 97-ში არსებულ საამშენებლო ობიექტსა და ამ მისამართზე მისატან საშენ მასალას შორის. სამაგიეროდ ვალიევის სახლამდე მისასვლელი გზა ილეოდა. კლიენტმა 90 ათმანეთიანი გადასცა ალთუნიანცს. ამ უკანასკნელმა ლამაზი კოსა უბეში გააქანა და მშვიდად ჩაილაპარაკა, ჩხუბი არ მოგვივა, გავიყოფთო.

დალახვროს ეშმაკმა ავი თვალით შემხედავი ადამიანი! გულთმისნებივით ეაადგა თავზე ბიჭებს გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ოპერატიული ჯგუფი — უფროსი ლეიტენანტი თენგიზ წერეთელი, ლეიტენანტები: რობერტ რიჟნიკოვი, ვაჟა იჩქითი, ზაბილონ მიხანაშვილი და სერჟანტი ნოდარი მახანაშვილი...

ზალვა ვანიშვილი,

გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი.

„უცხოელები“

ინსტიტუტში დარეკეს — მოემზადეთ უცხოელი ტურისტების ჯგუფის მისაღებადო.

ახალი პრორექტორი თადარიგიანი კაცი იყო და, დილიდანვე, თადარიგს იჭერდა. უცხოელების საუცხოოდ შეხვედრისათვის მას სხვა მიზეზიც ჰქონდა: რექტორის მივლინებაში ყოფნის გამო თვითონ უნდა ეტვირთნა მასპინძლობა და დღეს იგი „პრო“ კი არა, თვით რექტორი გახლდათ!

სტუმრების მოსვლის დროც დადგა. პრორექტორი ინსტიტუტის ეზოში გამოვიდა და, მხლებლებთან ერთად, დინჯად გაემართა ალაყაფისაკენ.

პროსპექტზე, ერთმანეთის მიყოლებით, მოსრიალებდნენ გაკრიალებული ლიმუზინები, მათ შორის უცხოური მარკის მანქანებიც ერია. მაგრამ ახლა ამით რას გაარჩევ შინაურსა და გარეშეს?

და, აი, დაადგათ საშველი: ინსტიტუტის შენობასთან ერთდროულად გაჩერდნენ მანქანები და იქიდან გადმოვიდნენ უცხოელები. სტუმარი „მანდილოსნები“ მინი კაბებში მუხლისთავებს ვერ მალავდნენ და უცხოელობას რას დამალავდნენ? ბითლზის ვარცხნილობითა და დიდი შავი სათვალეებით ვაჟებსაც ასევე აშკარად ეტყობოდათ უცხოელობა.

პრორექტორი მისთვის დამახასიათებელი სიდარბაისლით წარუდგა სტუმრებს, სათითაოდ ჩამოართვა ხელი და შენობისაკენ წარუძღვა.

უცხოელებმა რატომღაც იუცხოეს ასეთი მიღება და საეჭვოდ აჩურჩულდნენ.

სტუმრებს ჯერ სააქტო დარბაზი დაათვალიერებინეს, შემდეგ აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები, სამკითხველო დარბაზები, სპორტული მოედანი... ისინი თავიდან ნამეტანი ინაზებოდნენ, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ყველაფერს და თუმცა ხმამაღლა აღიარებას არ კისრულობდნენ, მაგრამ ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, რატომ აქამდე არ დავდიოდით, დედა, რა კარგი ყოფილაო.

ასეთ საინტერესო ექსკურსიაში დაძაბულად გაიარა მთელმა დღემ. პრორექტორმა შვებით ამოისუნთქა და სტუმრებს თავიანთი მანქანებისაკენ წარუძღვა. მის გაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მანქანები ადგილზე არ აღმოჩნდნენ. მასპინძელმა უმწეოდ გაასავსავა ხელები.

— სად არის თქვენი ავტომანქანები? — იკითხა მან.

— მანეთად, ახლა, მთელ დღეს ხომ არ დავაცდევინებდით, ბატონო! — ღრეჭით უპასუხა ერთ-ერთმა სტუმართაგანმა.

— არაფერი მესმის, — თქვა პრორექტორმა და სათვალის ზემოდან გადმოხედა ახალგაზრდებს.

— ჩვენ, პატივცემულო პროფესორო, დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტები ვართ.

!?

...ინსტიტუტის შენობასთან მანქანები გაჩერდნენ.

ყველაფერი თავიდან დაიწყო.

გურანდა ჩხარტიშვილი

თათბირომანია

კაბინეტის კარები რომ შეეაღე, თამბაქოს ბოლმა თვალები დამწვა: ძლივს გავარჩიე იქ მყოფნი. ფანჯარა გამოვაღე და ჩემს მაგიდას მივუჯექი.

— მაპატიეთ! — ვთქვი მე, — შემაგვიანდა, ტრესტში ვიყავი, თათბირზე...

— არა უშავს, ხარლამპრიჩ! — დამაწყნარა მთავარმა ბუღალტერმა.

— მაშ, ასე: ჩვენი დღევანდელი თათბირის მიზანია,— დავიწყე მე, — III კვარტლის გეგმის შესრულების საკითხის შესწავლა. ამხანაგებო!...

— წკრრრ! — დაიწკრიალა ტელეფონმა. ყურმილი ავიღე. — გისმენთ! დიახ, მე ვარ... სალამი! როდის? ხვალ, სამზე? კეთილი! დავესწრები!

— თათბირის მიზანია მესამე კვარტლის...

— წკრრრ!

— ალო! ჰო! აბა, კაცო! ძალიან გაგვახარეს, ძალიან! მაგარი თამაში იყო! რა? თათბირია? როდის? ხვალ, 5-ზე?! ლანძღვას ხომ არ გვიპირებთ? კარგი, აბა, გასაგებია!

— თათბირის მიზანია...

— წკრრრ!

— მე ვარ, შვილო! კრებაზე, სკოლაში? ვეცდები, მამიკო, ვეცდები! არ მცალია ახლა, თათბირი მაქვს!

— ჩვენი თათბირი...

— დიახ, მე ვარ! გასაგებია!...

— ბოდიში, ამხანაგებო, უნდა დაგტოვოთ, ზევით მეძახიან, სასწრაფო თათბირზე!

კაბინეტიდან გამოსულმა სუფთა ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე და ტაქსში ჩავჯექი.

— რა ბრძანეთ? გეგმა? რომელი გეგმა? აა, მაპატიეთ, არა მცალია, თათბირია, თათბირი!!!

გივი კონტრიძე

გასაჭირშია ქეთინო

შრომობს პატარა ქეთინო,
ბავშვობა დავიწყებია
(რას იზამს, ვარდი უეკლოდ
სხვას რომელს მოუკრეფია?)
აქეთ დედა წერს „შინაარსს“,
იქით ჯახირობს ბებია,
„გვიშველე გრამატიკაში!“ —
დეიდას ევედრებიან.
(ამდენის გადაწერაც კი
ქეთინოს გაძნელებია).
შენ გადმოხედე, კეთილო
ღმერთო, პატარა ქეთინოს,
შენ განუტვირთე პროგრამა,
შეუნარჩუნე ძალები!
შენ გევედრები, უფალო,
შენს ძალას ვენაცვალები!

ლ. მარტაშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ხელოვნების მუზეუმი დაკეტილია, ქალბატონო, და ნუ ჩაგვიშლით ექსკურსიას, თქვენი ბინა დაგვათვალიერებინეთ!

ლ. კამინსკი

გრაფომანი

კარზე მოკრძალებით დააკაკუნეს.

— დიახ, დიახ, შემობრძანდით! — თქვა რედაქტორმა.

ოთახში მელოტი კაცი შემოვიდა. მას გრძელი, ყავისფერი პალტო ეცვა. ვარდისფერ ცხვირზე უშნოდ ეკიდა მრგვალი სათვალე. ცალი ხელით მორცხვად ჭმუჭნიდა მწვანე შლაპას, მეორეთი მკერდზე ფრთხილად აეხუტებინა გაცრეცილი, „თხელი“ ჟურნალი, რომელშიც ქაღალდების დასტა ეწყო. იგი რედაქტორის მაგიდასთან შეჩერდა და ჩაახვეღლა.

— გამარჯობათ, — ჩუმად თქვა მან, — ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ: მე ათანასე დიმიტრიევიჩი გახლავართ, — ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა: — გრაფომანი.

— რააა? — გაოცებულმა რედაქტორმა წარბები აძგიბა, — გრაფომანი? ბოდიში, ეს რა, გვარია?

— არა, მე ხომ მოგახსენეთ, ჩემი გვარია დიმიტრიევიჩი ჩამოგავს მამის სახელს, მხოლოდ მახვილი „ე“-ზე ხვდება; თუმცა მამის სახელიც დიმიტრია და ისედაც დიმიტრიევიჩი ვარ, აქ კი მახვილი „ი“-ზე დაისმის. რა გაეწყობა, ასეთი დამთხვევაა... სრულად ასე გამოდის: ათანასე დიმიტრიევიჩ დიმიტრიევიჩი... „გრაფომანი“ კი რედაქციებში შემარქვეს მეტსახელივით... ხომ ხედავთ, წერა ძალიან მიყვარს... და, აი, ამიტომ... არა უშავს, შევეჩვიე კიდეც.

რედაქტორმა მძიმედ ამოიოხრა და სავდიანად გაიხედა ფანჯარაში. ტრამვაები წკრიალებდნენ. თოვდა. მოდიოდა სადილობის დრო...

— მე ყველაფერი მესმის, — თქვა გრაფომანმა, — ახლავე წავალ, მხოლოდ ერთი დაბეჯითებითი თხოვნა მაქვს...

მან ჟურნალი გახსნა და დაწერილი ქაღალდის ფურცლების დასტა ამოიღო.

რედაქტორს ყელი გაუშრა.

ნუ გეშინიათ, — ალერსიანად თქვა დიმიტრიევიჩმა და გულისხმიერად შეხედა რედაქტორს, — არ მოგაცდენთ... გთხოვთ, მხოლოდ ხელნაწერის პირველი გვერდი წაიკითხოთ. თუ ოდნავ მაინც არ დაგაინტერესებთ, მაშინვე წავალ. მე უკვე შეჩვეული ვარ...

რედაქტორმა ამოიოხრა, აიღო ფურცელი და კითხვა დაიწყო. წითელი ფერის ბურთულიანი ავტოკალმით სუფთად და კოხტად ეწერა:

გრაფომანი

(მოთხრობა)

კარზე მოკრძალებით დააკაკუნეს.

— დიახ, დიახ, შემობრძანდით! — თქვა რედაქტორმა.

ოთახში მელოტი კაცი შემოვიდა. მას გრძელი, ყავისფერი პალტო ეცვა. ვარდისფერ ცხვირზე უშნოდ ეკიდა მრგვალი სათვალე. ცალი ხელით მორცხვად ჭმუჭნიდა მწვანე შლაპას, მეორეთი მკერდზე ფრთხილად აეხუტებინა გაცრეცილი, „თხელი“ ჟურნალი, რომელშიც ქაღალდების დასტა ეწყო. იგი რედაქტორის მაგიდასთან შეჩერდა და ჩაახვეღლა.

— გამარჯობათ, — ჩუმად თქვა მან, — ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: მე ათანასე დიმიტრიევიჩი გახლავართ, — ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა — გრაფომანი.

— რააა? — გაოცებულმა რედაქტორმა წარბები აძგიბა...“

გაოცებულმა რედაქტორმა წარბები აძგიბა. ერთხანს დაბნეული უყურებდა მელოტ კაცს. იგი გულთბილად ანიშნებდა:

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

„... — გრაფომანი? ბოდიში, ეს რა, გვარია?...

— არა, მე ხომ მოგახსენეთ, ჩემი გვარია დიმიტრიევიჩი. ჩამოგავს მამის სახელს, მხოლოდ მახვილი „ე“-ზე ხვდება. თუმცა მამის სახელიც დიმიტრია და ისედაც დიმიტრიევიჩი ვარ, აქ კი მახვილი „ი“-ზე დაისმის. რა გაეწყობა, ასეთი დამთხვევაა... სრულად ასე გამოდის: ათანასე დიმიტრიევიჩ დიმიტრიევიჩი... „გრაფომანი“ კი რედაქციებში შემარქვეს მეტსახელივით... ხომ ხედავთ, წერა ძალიან მიყვარს... და, აი, ამიტომ... არა უშავს, შევეჩვიე კიდეც.

რედაქტორმა მძიმედ ამოიოხრა და სევდიანად გაიხედა ფანჯარაში. ტრამვაები წკრიალებდნენ. თოვდა. მოდიოდა სადილობის დრო...“

რედაქტორმა ფურცელი გვერდზე გადადო, ნიკაპი მოიფხანა და მაგიდაზე თითები აათამაშა. ტელეფონის ყურმილს წვდა, ცოტა ხანს ხელში ეჭირა, მერე ადგილზევე დადო; შემდეგ კვლავ ფურცელი აიღო და განაგრძო:

„...— მე ყველაფერი მესმის, თქვა გრაფომანმა, — ახლავე წავალ, მხოლოდ ერთი დაბეჯითებითი თხოვნა მაქვს... მან ჟურნალი გახსნა და დაწერილი ქაღალდის ფურცლების დასტა ამოიღო. რედაქტორს ყელი გაუშრა.

— ნუ გეშინიათ, — ალერსიანად თქვა დიმიტრიევიჩმა და გულისხმიერად შეხედა რედაქტორს, — არ მოგაცდენთ... გთხოვთ, მხოლოდ ხელნაწერის პირველი გვერდი წაიკითხოთ. თუ ოდნავ მაინც არ დაგაინტერესებთ, მაშინვე წავალ. მე უკვე შეჩვეული ვარ...

რედაქტორმა ამოიოხრა...“

რედაქტორმა ამოიოხრა.

— იცით რა, — თქვა მან, — დამიტოვეთ ხელნაწერი, მასში რაღაც არის. შეიძლება, კიდეც გამოვიყენოთ...

მელოტმა კაცმა ხელნაწერი ფურცლებით სავსე გაქუცული ჟურნალი მაგიდაზე დადო, რედაქტორს გამოეთხოვა და გაუჩინარდა.

რედაქტორი ოთახში ბოლთას სცემდა და პაპიროსს ეწეოდა. შემდეგ სწრაფად მივიდა მაგიდასთან და ხელნაწერი ფურცელი დადო. ფურცელზე წითელი ფერის ბურთულიანი ავტოკალმით სუფთად და კოხტად ეწერა:

...— იცით რა, — თქვა მან, დამიტოვეთ ხელნაწერი, მასში რაღაც არის. შეიძლება, კიდეც გამოვიყენოთ...

მელოტმა კაცმა ხელნაწერი ფურცლებით სავსე, გაქუცული ჟურნალი მაგიდაზე დადო, რედაქტორს გამოეთხოვა და გაუჩინარდა“.

თარგმნა ფილიპე ბერიძემ

ნახ. გ. ფირცხალავანი

— მიაფუჩეჩე, მამაო, პურ-მარილი ცივდება!

— ვერ მივაფუჩეჩებ, შვილო! ვერ ხედავ, ეს ინტრიგანი როგორ მითვალთვალებს?

ნახ. მ. აბაშიძისა



— ერთხელ მეც გამიშვით რევიზიაზე, მეც მყავს ცოლ-შვილი!

მე მათხოვარი ვყოფილვარ!

საღამოს დავრწმუნდი, რომ მათხოვარი ვარ. დილით კი არ დავუჯერე მოლარეს, რომელმაც, ხელფასის აღებისას, ხურდა რომ მოვითხოვე, მათხოვარი ხარო, მომაძახა.

...იმ დღეს მივლინებაში მივდიოდი და ავტობუსის ბილეთი უნდა ამეღო. ხურდაში ოცი კაპიკი მერგებოდა და მოვითხოვე კიდეც. მოლარემ პირში არაფერი მითხრა, სხვების გასაგონად კი მომაყოლა: ეგ მათხოვარი, ეგო! იქვე ავტოსადგურთან, ოცდაორკაპიკიანი ლუდი ოცდაათ კაპიკად მომყიდეს და მათხოვრის სახელი ერთხელ კიდევ დამიდასტურეს... მერე ახსნა-განმარტებაც მივიღე, რომ ჩემი კუთვნილი ხურდით საჭირო იყო ყუთების დატვირთვა და გადმოტვირთვა, ყინულის მოტანა და სხვ. მე გავვოცდი, ასე ცოტა ფული როგორ ყოფნის ამდენ საქმეს-მეთქი?!

...ოჯახისთვის საჭმელი უნდა დამეტოვებინა და ძეხვის ერთი ნაჭერი ავაწონინე გამყიდველს. თხუთმეტი კაპიკით მეტი მიანგარიშა. როცა არითმეტიკა შევახსენე, შე მათხოვაროო, მითხრა და ოცკაპიკიანი მესროლა. ყაჩაღი ხარ-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ბევრი ვერაფერი დავაკელი. პასუხიც არ გაუცია...

მაინც არ მჯეროდა, რომ მათხოვარი ვიყავი. საღამომდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო და ველოდებოდი: ვინმე სწორად დამიბრუნებს ხურდას და მადლობასაც მეტყვის-მეთქი.

გასტრონომში კარაქისა და ყველის ქვითარი გამოვაწერინე, კუთვნილი ხუთი კაპიკისთვის ხუთი წუთი ხელგაშვერილი ვიდექი სალაროსთან, მაგრამ ყურადღება ვინ მოგაქცია?

ამასობაში საკმაო დრო გავიდა... ავტობუსზე მაგვიანდებოდა... ტაქსში ჩავჯექი და იმას ანგარიში აღარ გავუწიე, რომ მრიცხველზე, ჩემამდე, ორმოცდარვა კაპიკი უკვე ეწერა. გადახდისას მაინც ორმაგი ოთხმოცი კაპიკი მივეცი. მძღოლმა ორმოცი კაპიკი უკან მესროლა და უწმაწური გინებაც მომაყოლა. მათხოვარივით ავკრიფე ძირს დაბნეული ხურდა და ავტობუსში შევიძურწე.

ავტობუსის მეორე სადგურში, საიდანაც სხვა მანქანას უნდა გავყოლოდი, სამოცდასამკაპიკიან ბილეთში მოლარემ მანეთიდან სამოცდაათი კაპიკი დაიტოვა და მხოლოდ ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც მათხოვარს, ხუთი კაპიკი დამიბრუნა.

იმავე დღეს მატარებლით უკან ვბრუნდებოდი. ექვსმანეთიანსა და ორაბაზიან ბილეთში მოლარემ სრული შვიდი მანეთი აიღო და ჩემს მუდარას, სამი აბაზი მოეცა, ყურიც არ ათხოვა.

„ყაჩაღები ხართ, ყაჩაღები!“ — ვიმეორებდი მთელი ღამე გუნებაში. მაგრამ ამან როდი დამამშვიდა...

მატარებლიდან როცა ჩამოვედი, სადგურზე ერთი მათხოვარი ამეკიდა. აღარ მომეშვა და სამკაპიკიანი ჩავუგდე ხელში. მან კი ფული სახეში მესროლა და მითხრა: ვის იგდებ მასხრად, შე მართლა მათხოვაროო?!.

შალვა გოგოლაძე

ნახ. ვ. ფირცხალავასი

— შენ რატომ არ ულოცავ იუბილარს?
—ახლა მაინც ვერავის ვერ ცნობს და რა მნიშვნელობა აქვს?!

უნივერმაღში შეპარულა მელა

(იგავისებური)

„იმპორტნი რამე მიშოვნე,
მელაჯან, კი გცემ პატივს!“
„ძმობილო, თუგინდ გეწყინოს,
ჭკუა გქონია ბატის.
მაღაზიაში რად გინდა
ნაცნობობა და ბლატი?
რაც თავის ფასში შემოდის,
ჩვენგან ორმაგად გადის.
გინდა იყიდე, გინდ არა,
დარდი არა გვკლავს მაგის.
ფულმა გარჩევა არ იცის —
კატის, მგლისა და ძაღლის.
როცა ფული მაქვს, ძამია,
არ მეშინია კვანტის...
გაისად შემოიარე,
ახლა ბოლოა კვარტლის!“

ვანო ცინცაძე

ვუფრთხილდეთ გრიპს!

გრიპის გადადება-გავრცელება ხდება წვეთოვან-ჰაეროვანი გზით, ეგრეთ წოდებული აგენტის (და არა ჯაშუშის) მეშვეობით, რასაც მედიცინის ენაზე ვირუსი ჰქვია. გრიპი გვხვდება ნებისმიერ მატერიკზე, აქედან — ნებისმიერ ტერიტორიაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნეიტრალურ სახელმწიფოებშიც კი.

სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ გრიპი ნიკოლოზის ჩხუბის დროს ანონიმურად „ისპანკის“ სახელწოდებით შემოიჭრა ჩვენში და მაგრადაც დაგვერია. ასეთ გაუგებრობას, როგორც გადმონაშთს, ამჟამად ადგილი აღარ აქვს, ვინაიდან დღეს ავადმყოფობას შესაფერისი სახელი ჰქვია და გრიპსაც „ისპანკას“ კი არა, გრიპს ვეძახით.

გრიპის წარმოშობას ღრმა ისტორიულ-სოციალური ფესვები აქვს. იგი ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გაიცნეს. უფრო მეტიც: ჩვენს ერამდე მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში პაპუასებმა შეამჩნიეს, რომ ეს ეპიდემია, რატომღაც, მარტო ზამთარში ვრცელდებოდა, რაც შემდეგ ჩვენმა გამოცდილებამ დაადასტურა.

რომელ ქვეყანაშიც (ან მატერიკზე) იფეთქებს ხოლმე ეს ფრიად საყურადღებო ეპიდემია, მას იმ ქვეყნის (ან მატერიკის) სახელწოდებით ნათლავენ. ეს, ასე ვთქვათ, პანიკაა და მეტი არაფერი, რადგან ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, თითქოს ათი ათასი სახეობის გრიპი არსებობს, მეტი თუ არა. ჰოდა, რომელ ერთს გადავურჩებით, გული უსკდება და... გულის გასკდომას, მოგეხსენებათ, კლინიკური სიკვდილი მაინც მოსდევს.

ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ავტორიტეტული მედიკამენტებიც ვერ შველის ადამიანს, ვინაიდან სიცხიანი ავადმყოფი 5-7 დღე მაინც უნდა იყოს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ამიტომ გთავაზობთ მკურნალობის ჩემს საიმედო, ასი პროცენტით გარანტირებულ მეთოდს, რაიც ფეხმდგომელას მოგარჩენთ.

ამბობენ, მთავარი ჯანმრთელობააო, მაგრამ ეს ზღაპარი არ დაიჯეროთ. მთავარია კვება. ჯანმრთელი რომ იყო, აუცილებლად ცხოველური და მცენარეული საკვები უნდა მიიღოთ გარკვეული დოზით.

ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე თავაუღებელი მუშაობის, გატეხილი ღამეებისა და ხშირად შეგნებული, საგანგებო შიმშილის წყალობით იმ დასკვნამდე მივედი, რომ გრიპის დათრგუნვისათვის ორი გადამწყვეტი ფაქტორია მთავარი.

პირველი: როცა დაკვირვებული ექიმი თერმომეტრის მეშვეობით შეგატყობთ, რომ ორმოცი გრადუსი სიცხე გაქვთ, აუცილებელია ქოქოსის ნაყენი დალიოთ დღეში სამჯერ თლილი ჩაის ჭიქით. ამის შემდეგ ცოცხალი კიტრ-პამიდვრის სალათაა რეკომენდირებული, ოღონდ მაცივარში არ უნდა გქონდეთ შენახული, ვინაიდან, ჯერ ერთი: ზამთარში, დენის ეკონომიის მიზნით, გამორთულია მაცივარი, მეორეც: სიცივე ვიტამინებს აქვეითებს. ვიდრე ნესვ-საზამთროს მიადესერტებდეთ, ორასი გრამი შავი ხიზილალა, არაგვის კალმახი, ზურგიელი და კენგურუს კუდუსუნის ჩახოხბილი არ დაგავიწყდეთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქოქოსის ჭამა... მადის მიხედვით. გარდა ამისა, აუცილებელია, ყოველდღე ვარიის ოციოდე მარცხენა ფრთა (შებრაწული) კალორიანობისა და გართობის მიზნით. არა უშავს ღორის სუკებს, ძროხის ჩალაღაჯს, მრგვალად მოხარშულ ხოხობს, ტყის ქათამსა და მისთანებს. ხილეულობიდან: მანდარინი, მარწყვი, სათიბათვო მსხალი, ჭყინტი სიმინდი და სხვა. შემდეგ დააყოლეთ მხოლოდ ერთი ჩაის ჭიქა მაღაზიაში ნაყიდი ნატურალური ღვინო, ე. ი. 23 ან 8 ნომერი. ამ შემთხვევაში ავადმყოფის პატრონს დიდი სიფრთხილე მართებს: ამ ღვინოების არომატმა არ გაიტყუოს პაციენტი და მთელი ბოთლი არ ჩამოცალოს. მისწრებაა აგრეთვე „ბილე“, მაგრამ ახლა, რატომღაც, აღარ იშოვება. შარშან სულ იმ დალოცვილსა ვსვამდით და აკი გრიპს გადავურჩით კიდეც. აგრეთვე უებარი საშუალებაა უზმოზე ათიოდე ღერი „პრიმის“ გაბოლება. მოკლედ, ამით ვამთავრებ კვების რაციონზე მოკლე საუბარს.

მეორე: ავადმყოფი იზოლირებულ ოთახში უნდა დავაწვინოთ, ან გულაღმა, ან გულდაღმა, ანდა რომელიმე გვერდზე. მისი დაწოლა არ შეიძლება არც სამზარეულოში, არც დერეფანში, არც საერთო ოთახში, არც აბაზანაში, არც კაბინეტ-ბიბლიოთეკაში და არც ბავშვთა ოთახში. ერთი სიტყვით, ცალკე უნდა იწვეს, რომ სხვასაც არ გადაედოს გრიპი. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის ნერვულ მგრძნობიარობას: არ ინერვიულოს, როცა დაუწუნებენ როიალს, ტელევიზორს, ნოხებს, ფინურ ავეჯს, ლედერინის ყდაში ჩასმულ ქართულ წიგნებსა და ყველაფერს. ცოლშვილიანი კაცი, უკეთესია, კუთხის ოთახში მოათავსოთ და სიდედრმა უზიდოს საჭმელი. ზოგიერთი ექიმის რჩევა ავადმყოფის ოთახის განიავება-გასუფთავების თაობაზე, მცდარია და აი, რატომ: ჩაბუდებული ვირუსები გარეთ გაიჭრებიან და მოედებიან ქვეყანას. სწორედ ამ დაუფიქრებელი ნაბიჯის წყალობით ვრცელდება ეს ავადმყოფობა. თუ მაინცდამაინც თქვენსას არ დაიშლით, რომელი მეზობელიც გეჯავრებათ, იმ მხრის ფანჯარა გაალეთ.

გრიპით დაავადება განსაკუთრებით საშიშია ფეხბურთელისთვის. როგორი ამბავია, მოწინააღმდეგის კარს რომ მიუახლოვდება და ფეხს მოუქნევს ბურთს, მაშინ დააცხიკვოს. დააცხიკვებს და კარს ააცდენს! მაგრამ ხომ შეიძლება, მაშინ გავიდეს გოლი? ამიტომ ფეხბურთელს ნება ეძლევა გრიპით დაავადებისა და ექსპერიმენტის თვალსაზრისით სასურველიც არის, ასეთი რამ დავუშვათ საგანგებოდ. რა ვიცი, იქნებ ღმერთმა გადმოგვხედოს?

თუ ჩემს გამოცდილება-დაკვირვებას ენდობით და ჩემს რეკომენდირებულ რჩევადარიგებას პირნათლად შეასრულებთ, დიდი იმედი იქონიეთ, რომ ეს ეპიდემია თქვენგან ისევე შორს იქნება, როგორც ჩემგან — ფსიქიატრიული საავადმყოფო.

ექიმი-გრიპოლოგი პროკლე სიკინჭილაშვილი.

სიკო ფაშალიშვილი (ფარსადანი)

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 76 წლის ასაკში, გარდაცვალა ცნობილი ქართველი მწერალი სიკო (სვიმონ) ილიას ძე ფაშალიშვილი — ჩვენი საამაყო და სასიქადულო ფარსადანი, „ნიანგის“ დიდი მოჭირნახულე და მოამაგე.

მან ცხოვრების მძიმე და ეკლიანი გზა განვლო, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს სულიერი მხნეობა, ოპტიმიზმი, გრძნობა დიდი იუმორისა და დამცინავი ღიმილით შეეგება თვითონ სიკვდილსაც...

სიკო ფაშალიშვილი მრავალმხრივი შემოქმედი იყო: პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, კინოსცენარისტი, მემუარისტი, ჟურნალისტი, სატირიკოსი და იუმორისტი. მისი პოეზია წმინდა და აუმღვრეველი, გულწრფელი და უშუალოა; მისი პიესების, მემუარებისა და მხატვრული ნარკვევების თხრობის ოსტატობა — სანიმუშო, სხარტული და მიმზიდველი. მან შესანიშნავი შემოქმედებითი თარგმანებით გაამდიდრა ქართული მწერლობა.

სიკო ფაშალიშვილი სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოთა სატირულ-იუმორისტულ ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მან აღზარდა და გამოაწრთო ამ დარგში მომუშავე არაერთი თაობა.

1910 წლიდან მოყოლებული, სიკო საქართველოში გამომავალი თითქმის ყველა სატირულ-იუმორისტული გამოცემის წამყვანი თანამშრომელია. მისი სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენს ჟურნალთან: „ნიანგის“ გამოსვლის პირველი დღიდან, 1923 წლიდან, იგი მისი აქტიური მუშაკია, ხოლო 1939 წლიდან 1958 წლამდე — შეუცვლელი პასუხისმგებელი მდივანი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჟურნალის სული და გული... უანგაროდ და თავდადებით ემსახურება ქართული სატირისა და იუმორის განვითარებას. ფარსადანის ესოდენ გახმაურებული და პოპულარული ფსევდონიმით მან უამრავი სატირულ-იუმორისტული ნაწარმოები გამოაქვეყნა. ვის არ წაუკითხავს და ვინ არ მოუყვანია აღტაცებაში მის „მხიარულ წიგნს“, „ფარსადანმა თქვა“-ს, მის იუმორისტულ ლექსებს, მოთხრობებსა თუ ფელეტონებს.

სხვადასხვა დროს სიკოს ფსევდონიმები იყო აგრეთვე თარსი, მახვილაკი, უჩინმაჩინი...

იგი უარყოფდა გატკეპნილი გზებით სიარულს და ამუშავებდა ქართული სატირისა და იუმორის ყამირ ნიადაგს, თესავდა სიცილის საღ თესლს.

ფარსადანის ბუნებრივი, ხალასი იუმორი, რომელიც არასოდეს გადაზრდილა ცინიზმში, ყოველთვის იწვევდა მკითხველის შეუკავებელ ღიმილს და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მას, აფიქრებდა და ჭკუას ასწავლიდა.

დაუნდობელი სატირიკოსი კრიტიკულ-მამხილებელი წერილებით გაბედულად ესხმოდა თავს უსამართლობას უპატიოსნობას, ყველაფერს, რაც ხელს უშლის ცხოვრების წინსვლას. ეს ბრძოლა სანიმუშო და მისაბაძია ჩვენთვის.

იგი წერდა ძალდაუტანებელი, სადა და გამწყაზრებული ქართულით...

სიკო ფაშალიშვილს დიდი შინაგანი კულტურა, მაღალი ლიტერატურული გემოვნება, ორიგინალური მხატვრული აზროვნება, ენციკლოპედიური განათლება და რომანტიკული ბუნება ჰქონდა. ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა: სულდიდი, სიცოცხლის მოყვარული, გულწრფელი, კეთილშობილი, ჩუმი და მოკრძალებული, მებრძოლი და სამართლიანი, ყველგან და ყოველთვის რომ გრძნობს პასუხისმგებლობას.

სიკო ფაშალიშვილი მშრომელი ხალხის ნამდვილი მეგობარი იყო. უსაზღვროდ უყვარდა ადამიანი, მისი ნაკლისა და სიმახინჯის მიუხედავად. ადამიანობის იდეა მიაჩნდა მას ყველაზე ამაღლებულ იდეად. ათასგვარ ბოროტებას ებრძოდა სიკო თავისი ბასრი სატირული კალმით და არასოდეს უღალატნია სიმართლისა და სპეტაკი მოქალაქეობრივი სინდისისათვის.

გულმხურვალე პატრიოტს, რომელმაც თავისი დიდი გონებრივი და ზნეობრივი ენერგია პატიოსნად შეალია ხალხისა და სამშობლოს სამსახურს, თამამად შეეძლო გაემეორებინა ერთი ჩვენი ძველი მოღვაწის სიტყვები: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერ მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან“.

შრომის სიყვარული და პატივისცემა მისი განუყრელი თვისება იყო. მძიმე ავადმყოფს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ გაუგდია ხელიდან კალამი: გამალებით წერდა, ინიშნავდა, ასწორებდა, აშალაშინებდა. ალბათ გრძნობდა მოახლოებას აღსასრულისა...

გულდაწყვეტილნი სამუდამოდ ვემშვიდობებით ძვირფას და დიდებულ სიკო ფაშალიშვილს, ჩვენს განუმეორებელ ფარსადანს, მასწავლებელსა და მეგობარს...

ამ შესანიშნავი მწერლისა და მოქალაქის სპეტაკი სახელი მარად იცოცხლებს საქართველოსთან ერთად და დაამშვენებს მისი მწერლობის ისტორიას.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია.

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
26/II-70 წ.
ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 26/III-70 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14
ЗЕКЗ. № 673.
УЕ 02004.
ტირაჟი 123.700.

КОНТРОЛЬНЫЕ

70-217
1970
ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76137

„მხიარული“ საშობაო საჩუქარი

იმ ამერიკულ ფირმათაგან, რომლებიც საშობაო დღესასწაულს რეკლამისათვის იყენებენ, გასული წლის ბოლოს ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია სანფრანცისკოს ერთ-ერთმა დამკრძალავმა კომპანიამ. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კომპანიის თავკაცებმა გამოაცხადეს, რომ ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვინც 15-დან 31 დეკემბრის ჩათვლით განუტევებს სულს და მიატოვებს ამ ცოდვილ სამყაროს საშობაო საჩუქრად... უფასოდ დაკრძალავენ.



ბელით საპასუხო ვიზიტით!

ინგლისის ქალაქ დარტფორდის მუნიციპალიტეტის სამი წევრი ეწვია ფედერაციულ გერმანიას ქალაქ ხანდაუს ხელისუფალთა მიწვევით. მაგრამ თვითმფრინავმა დაიგვიანა და როდესაც სტუმრებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს სასტუმროს, კარები დაკეტილი დახვდათ. კაკუნსა და ზარის რეკვაზე არავინ უპასუხათ. ამ ამბის მომსწრე პოლიციელმა დაქანცულ სტუმრებს ერთადერთი გამოსავალი შესთავაზა: ღამე გაეთიათ... ციხეში.

დილით სტუმრების კამერა დაკეტილი აღმოჩნდა. ინგლისელთა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო, რადგანაც ახალმა მცველებმა ისინი მთვრალ ამერიკელ ჯარისკაცებად მიიჩნიეს. სტუმრების დაკარგვით გაბრაზებულმა ქალაქ ხანდაუს მამებმა მხოლოდ დღის ბოლოს მოახერხეს მათი დილეგიდან დახსნა.

სტუმრებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ქალაქ ხანდაუს მამებს და დარტფორდში მიიწვიეს. თან ირწმუნებოდნენ, რომ დარტფორდის ციხე გაცილებით კომფორტაბელურია.



ბეიტსი ტრადიციას არ ღალატობს

ინგლისის ქალაქ დარხემში მეინ-სტრიტ № 13-ში მცხოვრებ მეხამრიდის მტრების საზოგადოების წევრს — გერი ბეიტსს უბედურება შეემთხვა: მის სახლს მეხი დაეცა, მაგრამ ხანძარი ჩააქრეს. მეხანძრეებმა თხოვეს მას, რომ ახლა მაინც აღემართა მეხამრიდი, მაგრამ მეხამრიდთა დაუძინებელმა მტერმა ტრადიციას არ უღალატა და მხოლოდ სახლის ნომერი 13 შეცვალა 11-ით.

ნახ. გ. ლომიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა
217
1970
8.IX